საქართველოს კულტურის მინისტრის

ბრძანება №05/41

2026 წლის 26 თებერვალი

ქ.თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კულტურის მინისტრის 2025 წლის 5 მარტს №05/03 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სასახლე-მუზეუმების გაერთიანების დაფუძნებისა და ამ მიზნით რიგ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 23 თებერვლის №73 დადგენილების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტისა და „საქართველოს კულტურის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 აპრილის №131 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კულტურის მინისტრის 2025 წლის 5 მარტის №05/03 ბრძანებით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 06/03/2025, სარეგისტრაციო კოდი: 040030000.22.088.016071) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. პირველი მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. ეროვნული ბიბლიოთეკის ადგილსამყოფელია: ქ. თბილისი, ლადო გუდიაშვილის ქ. №5/7; სულხან ცინცაძის ქ. №63; კასპის ქ. №7 და ქ. ქუთაისი, ნიკეას ქ. №10.“.

2. მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს 2026 წლის პირველი მარტიდან.

საქართველოს კულტურის მინისტრი **თინათინ რუხაძე**